CONTOURS OF NIKA (NIKOLOZ) PUTKARADZE'S POETIC HANDWRITING: RESEARCH ORIENTATIONS

ნიკა (ნიკოლოზ) ფუტკარაძის პოეტური ხელწერის კონტურები: კვლევის ორიენტირები

Nana Tsetskhladze
Doctor of Philological Sciences,
Associate Professor of Batumi Shota Rustaveli State University,
Batumi, Rustaveli/Ninoshvili st., №32/35, 6010 Georgia,
+995595917811, nana.tsetskhladze@bsu.edu.ge,
https://orcid.org/0000-0002-7347-0033

Abstract. The poetic work of young poet from Batumi– Nika (Nikoloz) Putkaradze captivates the reader's attention from many perspectives. These include: depth of content, philosophical nature, high artistic quality, merger of emotional and intellectual foundations, linguistic experiments and innovations.

The aim of the work is to delineate the contours of Nika Putkaradze's poetic handwriting, reveal the main characteristics of his style, and define the primary research directions. Along with the thematic depth of his poetry, special attention is given to the peculiarities of artistic language, as well as the analysis of emotional-expressive elements and other means of influencing the reader.

The empirical material for the study consists of the poet's collections:"*Poetry Drips from Desires"* (2011),*Guests of the Rain"* (2013),"*Flowers of Chirukhi*" (2015), and "*Enigmas of Silence"* (2022).

The research methodology combines literary, stylistic, linguopoetic, and comparative analysis. In addition to traditional philological methods, modern literary theoretical approaches are applied to determine the poet's potential affiliation with a specific literary movement.

The study's findings indicate that Nika Phutkaradze's poetry is characterized by philosophical depth and rich content. His poetic style is defined by metaphorical imagery, a complex system of symbols, and the animation of nature. For the poet, nature represents a metaphysical space where transcendent truth is concealed. The poeticization of neutral words and terminology from various fields represents a linguistic experiment, which also includes occasional verb formations. The multifaceted nature of his poetic perception is evident in the synesthetic quality of his metaphors, which merge different sensory experiences-, auditory, tactile, and more.

A particularly significant innovation is the incorporation of drawings and QR codes in his poetry collections, allowing readers to listen to music composed for the poems or watch related video clips. The synthesis of poetry, painting, music, and cinematography is entirely innovative and can be regarded as a marker of digimodernism.

Nika Phutkaradze's multi-layered poetic discourse, with its idealization of nature, synesthetic metaphors, linguistic experiments, and unique fusion of poetry with other art forms, provides a foundation for analysis from various perspectives.

Keywords: (Nika) Nikoloz Phutkaradze; Style; Metaphorization; Personification; Nature; Synthesis; Innovation; Digimodernism.

ნანა ცეცხლაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი,
ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. 32/35, 6010, საქართველო,
+995595917811, nana.tsetskhladze@bsu.edu.ge
https://orcid.org/0000-0002-7347-0033

აბსტრაქტი. ახალგაზრდა ბათუმელი პოეტის – ნიკა (ნიკოლოზ) ფუტკარაძის პოეტური შემოქმედება მკითხველის ყურადღებას მრავალი კუთხით იპყრობს. ესენია: შინაარსობრივი სიღრმე, ფილოსოფიურობა, მაღალმხატვრულობა, ემოციური და ინტელექტუალური საწყისების შერწყმა, ენობრივი ექსპერიმენტები და ინოვაციები.

ნაშრომის მიზანია ნიკა ფუტკარაძის პოეტური ხელწერის კონტურების გამოკვეთა, სტილის ძირითადი მახასიათებლების გამოვლენა და კვლევის მთავარი მიმართულებების განსაზღვრა. შინაარსობრივ სიღრმესთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მხატვრული ენის თავისებურებათა, ასევე ემოციურ-ექსპრესიულ და მკითხველზე ზემოქმედების სხვა საშუალებათა ანალიზს.

ემპირიულ მასალად გამოყენებულია ახალგაზრდა პოეტის კრებულები: *„ჩვეთავს ნატვრებიდან პოეზია“* (2011), *„ჩვიმის სტუმრები“* (2013), *„ჩირუხის ყვავილები“* (2015) და *„დუმილის ქარაგმები“* (2022).

კვლევის მეთოდოლოგია აერთიანებს ლიტერატურათმცოდნეობით, სტილისტიკურ, ლინგვოპოეტიკურსა და შედარებით ანალიზს. ნაშრომში კვლევის ტრადიციულ ფილოლოგიურ მეთოდებთან ერთად გამოიყენება თანამედროვე ლიტერატურული თეორიების მიდგომები, რათა განისაზღვროს პოეტის რომელიმე ლიტერატურული მიმდინარეობისთვის მიკუთვნების საკითხი.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ნიკა ფუტკარაძის პოეზიას ახასიათებს შინაარსობრივი სიღრმე და ფილოსოფიურობა. მის პოეტურ ხელწერას ქმნის მეტაფორულობა, სიმბოლოთა მდიდარი სისტემა და ბუნების გასულიერება. პოეტისთვის ბუნება მეტაფიზიკური სივრცეა, სადაც იმალება ტრანსცენდენტური ჭეშმარიტება. ნეიტრალური სიტყვების, სხვადასხვა დარგის ლექსიკა-ტერმინოლოგიის პოეტიზაცია საინტერესო ენობრივი ექსპერიმენტია. გვხვდება ნასახელარ ზმნათა ოკაზიური ფორმებიც. მისი პოეტური აღქმის მრავალმხრივობის დასტურია მეტაფორათა სინესთეზიურობა: სხვადასხვა ტიპის შეგრძნების (ვიზუალური, სმენითი და ტაქტილური და მრავალი სხვა) შერწყმა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლექსებზე ნახატებისა და QR კოდების დართვა. ამ უკანასკნელის საშუალებით მკითხველს მოცემულ ლექსზე დაწერილი მუსიკის მოსმენის ან ვიდეოკლიპის ნახვის შესაძლებლობა ეძლევა.

პოეზიის, მხატვრობის, მუსიკის, ქორეოგრაფიისა და ვიდეოარტის სინთეზი სრულიად ინოვაციურია და დიგიმოდერნიზმის ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს.

ნიკა ფუტკარაძის მრავალშრიანი პოეტური დისკურსი ბუნების გაიდეალებით, სინესთეზიური მეტაფორებით, ენობრივი ექსპერიმენტებით, პოეზიისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის უნიკალური სინთეზით მრავალი კუთხით შესწავლის საფუძველს იძლევა.

საკვანძო სიტყვები: (ნიკა) ნიკოლოზ ფუტკარაძე, სტილი, ბუნება, პერსონიფიკაცია, მეტაფორულობა, სინესთეზია, დიგიმოდერნიზმი

შესავალი. პოეტური ენის შესწავლა თანამედროვე ჰუმანიტარული მეცნიერების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პოეტების ან მწერლების შემოქმედების კვლევა, რომელთა მხატვრული სამყარო შეუსწავლელია, ან ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გაანალიზებული. ამ მხრივ საყურადღებოა ნიკა (ნიკოლოზ) ფუტკარაძის პოეტური მემკვიდრეობა, რომელიც გამორჩეულია მაღალმხატვრულობით, ტრადიციული ქართული ლექსთწყობისა და ნოვატორული პოეტური ხედვის უნიკალური სინთეზით.

კვლევის ემპირიული მასალაა ნიკა ფუტკარაძის პოეტური კრებულები: ,,წვეთავს ნატვრებიდან პოეზია“ (2011); ,,წვიმის სტუმრები“ (2013), ,,ჩირუხის ყვავილები“ (2015), ,,დუმილის ქარაგმები“ (2022).

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ნიკოლოზ ფუტკარაძის პოეტური სტილის კონტურების გამოკვეთა, ძირითადი მახასიათებლების გამოვლენა და ანალიზი. კვლევა ფოკუსირებულია პოეტის შემოქმედების იმ ასპექტებზე, რომლებიც განსაზღვრავს მის უნიკალურ ხელწერას. ესენია: შინაარსობრივი მხარე, მხატვრული ენის თავისებურებები, ემოციურ-ექსპრესიული სპექტრი, მკითხველზე ზემოქმედების საშუალებანი.

შემდგომი კვლევებით განისაზღვრება პოეტის ადგილი თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში და რომელიმე ლიტერატურული მიმდინარეობისადმი მისი მიკუთვნების საკითხიც.

თემის აქტუალურობა განპირობებულია იმით, რომ ნიკა ფუტკარაძის პოეტური სტილი თითქმის შეუსწავლელია. კრებულებში მოთავსებულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის, პოეტების: ჯანსუღ ჩარკვიანისა და მაყვალა გონაშვილის („წვიმის სტუმრები“), ბელა ქებურიას („წვეთავს ნატვრებიდან პოეზია,“ ,,ჩირუხის ყვავილები,“ „დუმილის ქარაგმები“), როინ აბუსელიძის წინასიტყვაობანი, ირაკლი შარაძის, მაია ლევანიძის წერილები („დუმილის ქარაგმები“) და არსებობს ორიოდე სამეცნიერო სტატია (ია ვაშაკიძე, ,,დუმილის ქარაგმები“ (ნიკა ფუტკარაძის ლექსების ახალი კრებული“, ჟურნალი „ჭოროხი“ 2022 წლის №3; შორენა მახაჭაძე, „დიგიმოდერნისტული კრებული“/ნიკა ფუტკარაძის „დუმილის ქარაგმები“/ქუთაისის IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, მასალები, ქუთაისი, 2024 წელი).

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ნიკა ფუტკარაძის მხატვრული სამყაროს მიმოხილვით ანალიზს, მისი პოეტური სტილის კონტურების გამოკვეთას, მკითხველის ინტერესის გამოწვევას და კვლევის მიმართულებების განსაზღვრას.

საკვლევი მასალა მრავალმხრივ (ლინგვოსტილისტიკა, პოეტიკა, ლიტერატურათ-მცოდნეობა, ლიტერატურის ისტორია, ფილოსოფია, სემიოტიკა) არის საინტერესო. ის დაინტერესებს არა მხოლოდ პოეზიის მოყვარულთ, არამედ იმათაც, რომელთაც სურთ, ჩასწვდნენ ადამიანის შინაგანი სამყაროს სიღრმესა და მრავალმხრივობას.

მეთოდები. მიდგომა კომპლექსურია, აერთიანებს ლიტერატურათმცოდნეობით, სტილისტიკურ, ლინგვოპოეტიკურსა და შედარებით ანალიზს. ლინგვოპოეტიკური ანალიზი ფოკუსირებულია იმაზე, გამოავლინოს, რამდენად ინდივიდუალურად და ესთეტიკურად გამოხატავს პოეტი თავის მხატვრულ ჩანაფიქრს. ნაშრომში ტრადიციულ ფილოლოგიურ მეთოდებთან ერთად გამოყენებულია თანამედროვე ლიტერატურული თეორიების მიდგომები, რათა განისაზღვროს, რომელი ლიტერატურული მიმდინარე-ობის მიმდევარია პოეტი.

შედეგები. ნიკა ფუტკარაძის ორიგინალურ პოეტურ სტილზე დაკვირვება აღძრავს მისი სხვადასხვა ასპექტით შესწავლის ინტერესს. ესენია:

შინაარსობრივი სიღრმე და თემატური მრავალფეროვნება: პოეტი ეხება ეროვნულსა და სარწმუნოებრივ იდენტობას, პატრიოტიზმს, სიყვარულს, ფილოსოფიურსა და საზოგადოებრივ საკითხებს. მის პოეზიაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინტროსპექცია და ეგზისტენციური ძიება. ბუნება პოეტისთვის ცოცხალი, მგრძნობიარე წიგნია, რომელშიც აღბეჭდილია სამყაროს საიდუმლოებები და ადამიანის ღრმა განცდები.

მხატვრული ენის თავისებურებანი: ნიკა ფუტკარაძის სტილი გამოირჩევა სიმბოლიზმით, მეტაფორულობით, ორიგინალური პერიფრაზებითა და მოულოდნელი შედარებებით. პოეტი ხშირად იყენებს ალიტერაციებს, ასონანსებს, ალუზიებს, რაც მის პოეზიას მუსიკალურობას ანიჭებს. აღსანიშნავია სტილური და ლექსიკური მრავალ-ფეროვნება, ოკაზიურ ნასახელარ ზმნათა სიმრავლე;

ემოციური ინტენსივობა და ექსპრესიულობა: ნიკა ფუტკარაძის პოეზია მკითხველში მძაფრ ემოციებს აღძრავს, განსაკუთრებით აღსანიშნავია მელანქოლიისა და დრამატული ელემენტების თანაარსებობა;

მკითხველზე ზემოქმედება: პოეტისთვის დამახასიათებელია სამყაროს მრავალი კუთხით ხედვა და შეგრძნება, მისი პოეტური ხატები და მეტაფორები მულტისენსო-რულია, მათში გაერთიანებულია სხვადასხვა ტიპის აღქმა (ვიზუალური, სმენითი და ტაქტილური და მრავალი სხვა). ბოლო კრებულში – „დუმილის ქარაგმები“ QR კოდების გამოყენება ინოვაციური მიდგომაა: მუსიკის, მხატვრობის, ქორეოგრაფიისა და ვიდეოარტის გაერთიანებით პოეზიის აღქმა ახალ სივრცეში გადაინაცვლებს.

მსჯელობა. ნიკა ფუტკარაძის შემოქმედების მთავარ მახასიათებლებს ოთხი ძირითადი ასპექტით ვიკვლევთ. ესენია: შინაარსობრივი მხარე, მხატვრული ენის თავისებურებები, ემოციურ-ექსპრესიული სპექტრი, მკითხველზე ზემოქმედების საშუალებები.

დავიწყოთ შინაარსობრივი სიღრმითა და თემატური მრავალფეროვნებით. ,,წვიმის სტუმრები“ ეხება ფილოსოფიურ, ეგზისტენციურსა და პიროვნულ საკითხებს, შინაგან ბრძოლასა და საკუთარი თავის ძიებას. კრებული ,,ჩირუხის ყვავილები“ისტორიული მეხსიერების, სამშობლოს აღორძინებისა და გამთლიანების იდეებზეა აგებული. ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობა მკაფიოდ ჩანს ,,წვიმის სტუმრებში.“ კრებული ,,წვეთავს ნატვრებიდან პოეზია“ მოიცავს ეროვნულ თემატიკას, ბუნების გაიდეალებას, პოეტისა და პოეზიის დანიშნულებასაც. ,,დუმილის ქარაგმები“ ყველაზე სრულყოფილია თემატური მრავალფეროვნებითა და მაღალიდეურობით. სევდა, საზოგადოებრივი პრობლემატიკა, ეგზისტენციური, ფილოსოფიური საკითხები მკითხველს ღრმა ფიქრისკენ უბიძგებს. ინსტროსპექციასა და ინსპირაციაზე აგებული ლექსების კრებულის ზოგადი განწყობა მელანქოლიურია, მისი ,,სულის ჰორტენზიები სევდის მეწყერს ჩაუტანია“ (ფუტკარაძე, 2022: 79), ამიტომაცაა მეტაფორები ,,მელნისფერი.“

პატრიოტული მგზნებარება, ეროვნული თუ სარწმუნოებრივი თვითმყოფადობა ლაიტმოტივად გასდევს ნიკა ფუტკარაძის პოეზიას: „ღმერთო, ქართული გზებით მატარე!“ „მომასმენინე წმინდა ქართული, შეზავებული ცოლიკაურთან!“ (ფუტკარაძე, 2022: 39) – აქ ვაზის კულტურა ქართული იდენტობის განუყოფელ ნაწილად არის წარმოდგენილი.

პოეტი სამშობლოსთან დაკავშირებით გულისტკივილით წერს: ,,იყიდება, საქართველო იყიდება, ყიდულობენ და ყიდიან ერთ თუმანზე“ (ფუტკარაძე, 2013: 42).

ნიკა ფუტკარაძის პოეზიაში ერთმანეთს ენაცვლება მიწიერი (ომი, სიღარიბე, ტანჯვა) და ღვთაებრივი (ღვთის მოლოდინი, ტაძრის ხსენება) საწყისები. აქ სიყვარულიც რეალობისა და ღვთაებრიობის ზღვარზეა განხილული: „და ბოლოს, მაინც, ჩემი კი არა – შენ უფრო უფლის მეტაფორა ხარ“ (ფუტკარაძე, 2022: 35).

ლექსებში მკაფიოდ ჩანს მარტოობის განცდა, სულიერი კონფლიქტები, შინაგანი ძიების ბრძოლა: „მე საკუთარი თავის ძიებამ უკვე ნაპოვნიც დამაკარგვინა“ (ფუტკარაძე, 2022: 34) – ვკითხულობთ ,,დუმილის ქარაგმებში.“

პოეტმა იცის, რომ ძნელია, ადამიანმა ხოვრების რთული გზა ისე გაიაროს, რომ სიწმინდე და სისპეტაკე შეინარჩუნოს, ამიტომაც შთააგონებს საკუთარ თავს ბავშვად დარჩენას, რადგან ,,ამ მგლურ ცხოვრებასაც ადგას უფლის გვირგვინი“ (ფუტკარაძე, 2013: 29).

ლექსში ,,სამი დრო“ (ფუტკარაძე, 2015) აწმყო, წარსული და მომავალი დროები პაექრობენ საქართველოს თავისუფლების, რწმენისა და მომავალი თაობის დანიშნულების შესახებ. ლექსი სრულდება მომავალი დროის დანატოვარი წერილით, სადაც თავისუფლება შედარებულია ფულთან. ის ფულივით არ უნდა მართავდეს ადამიანს, არამედ ადამიანმა უნდა მართოს ის. პოეტის აზრით, თავისუფლების მოპოვება პირადი მსხვერპლის გარეშე შეუძლებელია.

ნიკა ფუტკარაძის პოეზია გამოირჩევა აქტუალურ თემებზე ყურადღების გამახვილებით (საზოგადოებრივი პრობლემები, კულტურული კრიზისი, სოციალური მედიის გავლენა და ა. შ.), რომელთაგანაც უმწვავესია ადამიანის ინდიფერენტულობა, აპათიურობა, ინდივიდუალურობის დაკარგვა და რაოდენობის მიერ ხარისხის გადაფარვა, რომ ,,გაგულგრილდა სამყარო“ (ფუტკარაძე, 2013: 41); რომ „ამ საუკუნეს მიაქვს სტამბიდან ადამიანი დიდი ტირაჟით!“ და „დღეს პოეტების იზრდება რიცხვი, დასანაყრებლად... მაკულატურის!“ (ფუტკარაძე, 2022: 38).

ნიკა ფუტკარაძე ასახავს კულტურული მემკვიდრეობის უგულებელყოფას, თანამედროვე ტენდენციებს (მაგ., სოციალური ქსელების გავლენას), ისტორიისა და ხელოვნების მიმართ ქართველი კაცის ზერელე დამოკიდებულებას:

„ცრემლი წამოსცდა რუსთველის ფრესკას,
მის წინ შეჩერდა ქართველი წამით,
არც კი გახედა, უცებ „ჩასელფა“
და „Checkin in the Jerusalem“ (2022: 46).

სატირული და ირონიული ელემენტები შესასწავლია პოსტმოდერნიზმთან მიმართების კუთხით.

მოკლედ, ნიკა ფუტკარაძის პოეზია გამოირჩევა მრავალფეროვანი თემატიკით (ფილოსოფიური და ეგზისტენციური საკითხები, პატრიოტული მოტივები, თანამედროვე საზოგადოებრივი პრობლემატიკა, საკუთარი თავის ძიება, თვითშემეცნება, ზნეობრივი სრულყოფისკენ სწრაფვა). პოეტი პესიმისტურად და კრიტიკულად უყურებს ქართველი კაცის გულგრილ დამოკიდებულებას წარსულის, კულტურული მემკვიდრეობის, ეროვნულ-სარწმუნოებრივი თვითმყოფადობისა და ღვთაებრიობის საკითხებისადმი.

II. მხატვრული ენის თავისებურებანი:

ნიკა ფუტკარაძის პოეტური ხელწერის კონტურებს ქმნის სიმბოლოთა მდიდარი სისტემა და მეტაფორული აზროვნება, ექსპრესიულობა და მუსიკალურობა, მრავალფე-როვანი პოეტური ხერხების გამოყენება, რომლებიც ტრადიციულსა და თანამედროვე მხატვრულ აზროვნებას აერთიანებს.

II.1. მაღალმხატვრულობა, მეტაფორულობა და სიმბოლოთა მდიდარი სისტემა:

ნიკა ფუტკარაძის პოეტური ენა გამოირჩევა მდიდარი მხატვრული სისტემით, კოსმიური სხეულების მეტაფორიზებითა და სიმბოლიზებით, რითაც ადამიანის ემოციური მდგომარეობა გამოიხატება, განმეორებებითა და კონტრასტებით (სიკეთე და ბოროტება, ნათელი და ბნელი, სიცოცხლე და სიკვდილი) პოეტის იდეები გადმოიცემა, ხოლო ალიტერაცია, ასონანსი და სიტყვათა თამაში ამძაფრებს ექსპრესიულობას.

ბოლო პოეტური კრებულის –,,დუმილის ქარაგმების“ პირველივე სტრიქონებიდან ჩანს, როგორ გაიზარდა პოეტი ჩვენ თვალწინ. ,,დუმილის ქარაგმები“ და ,,მელნისფერი მეტაფორები“ მკითხველს ინსპირაციისკენ უბიძგებს. აქ კოსმიური მოვლენები უმეტესად ყოფის ტრაგიზმის გამოხატულებებია.

ხშირად გამოიყენება **კარი,** როგორც ზღურბლის, ანუ გარდამავალი მდგომარეობის სიმბოლო.

განსაკუთრებით ხშირად მეტაფორულად ბუნების მოვლენები გადმოიცემა: ,,ცა გატყდა აღდგომის კვერცხივით“ (ფუტკარაძე, 2011: 25), ,,თეთრი ღრუბლის ურდულით ზეცამ კარი დარაზა,“,,ცის ნაკვერჩხალი ხდება ნახშირი“(დაღამების მეტაფორა) (ფუტკარაძე, 2022: 27); „მთვარე იუდას შემცბარ ღიმილით, ვერცხლივით კრეფდა დაყრილ ვარსკვლავებს“ (ფუტკარაძე, 2015: 75).

არისტოტელეს მიხედვით, მეტაფორების გადაღება შეუძლებელია, ამიტომაც ის ტალანტის ნიშანია“(არისტოტელე,1979: 22,1459ა). ნიკა ფუტკარაძის პოეზია თავისი მეტაფორულობით მკითხველზე ახდენს ემოციურ, ესთეტიკურსა და ინტელექტუალურ ზემოქმედებას და მისგანაც მოითხოვს გემოვნებასა თუ მზაობას.

ნიკა ფუტკარაძის პოეტური ხელწერის უმთავრეს კონტურს წარმოადგენს პოეტის განსაკუთრებით მჭიდრო სულიერი კავშირი გარე სამყაროსთან. ეს არის ე.წ.,,პეიზაჟური ლირიკა.“ ბუნება პოეტის შთაგონების წყარო, მისი განცდების თანამონაწილე და შინაგანი ბრძოლების ანარეკლია, ბუნების მოვლენები კი მისტიკური ძალების გამოვლინებებია, რომლებიც ატარებენ ღრმა სიმბოლურ დატვირთვას.

ბუნება ხშირად **პერსონიფიცირებულია:** წვიმა ხან ქუჩებში თავდახრილი დადის (ფუტკარაძე, 2022: 39), ხან ბალახებს ძუძუს აწოვებს (ფუტკარაძე, 2011: 18), ხან ხორუმს ცეკვავს (ფუტკარაძე, 2011: 20), ხანაც ამორძალივით თმაგაშლილი ბოშურს დაუვლის (ფუტკარაძე, 2011: 16), ხან ვალსს უკრავს (ფუტკარაძე, 2011: 21), ხანაც ჭადრაკს თამაშობს (ფუტკარაძე, 2011: 16), მთვარე აჭარულ სექვზე წამოწვება და გვერდით ციცასავით მიიწვენს ვარსკვლავს (ფუტკარაძე, 2011: 15), ქარი ხან სალამურზე მოცარტის მუსიკას უკრავს (ფუტკარაძე, 2011: 19), ხან ახალშობილ ვარსვლავს ანანავებს (ფუტკარაძე, 2011: 23), მზე განდაგანას ცეკვავს (ფუტკარაძე, 2011: 23), ან ზღვის ნაპირზე კენჭებს ითვლის (ფუტკარაძე, 2011: 25), ის, სამი დღით მკვდარი, მკვდრეთით აღდგება (ფუტკარაძე, 2011: 25), ცა მზეს ჰალსტუხივით ირგებს (ფუტკარაძე, 2011: 27) და ა.შ.

ხშირია მოულოდნელი **შედარებები**: „თოლიებს, როგორც ჩასუნთქულ ნოტებს, იმედებივით გაუშვებ ზღვისკენ“ (ფუტკარაძე, 2015: 79); ,,მე გულში მუდამ ლექსებივით მექნება ჩირუხის ყვავილები“(ფუტკარაძე, 2015:27); ,,ის დალალები დააწნილ ყველივით გაჭაღარავდა დარდით“(ფუტკარაძე, 2011: 7); ,,ღამე იღვრება, როგორც ნავთობი“; ,,უცებ ფილმივით მთავრდება ღამე და ტიტრებივით გასდევს ღრუბლები“(ფუტკარაძე, 2022: 34); ,,ვარსკვლავებივით წყდებიან სივრცეს ვერშემჩნეული გენიოსები“(ფუტკარაძე, 2022: 41).

გვხვდება საინტერესო **პერიფრაზები,** საგნის მხატვრული დახასიათების ნიმუშები, სადაც ნათლად ვლინდება პოეტის მსოფლხედვა და მხატვრული აზროვნების დიაპაზონი: მზე ჩიტის გული, ან ოცნებების აფრაა, ფიფქი – ღრუბლის ცრემლი (ფუტკარაძე, 2011: 11); პოეტი პეპელა, მინდვრის ყვავილი, ან უფლის ციცქნა სანთელია; ის ღმერთის თარჯიმანი, ადამიანის სულის მთარგმნელია (ფუტკარაძე, 2022: 24), პოეზია – მარგალიტით, ლალებით მორთული დიდი ნატვრის ხე, ან უფლის მირონის ჩანჩქერია (ფუტკარაძე, 2022: 11); დედამიწა მთელი კოსმოსის სიყვარულით სავსე ფიალაა, სატრფო უფლის მეტაფორაა (ფუტკარაძე, 2022: 35); ღამე – ზეცის მკლავებზე მიხატული შავი სვირინგი (ფუტკარაძე, 2022: 68); ვენახი – ღვინისფერი ჩოხა (ფუტკარაძე, 2022: 86), სიცოცხლე კი – სიკვდილის დაპაუზება (ფუტკარაძე, 2022: 57).

პოეტისთვის გალაკტიონი ,,ლექსის შტორმია“ (ფუტკარაძე, 2013), ზურაბ გორგილაძე კი –,,უკვდავებაში ამოვლებული აქილევსის დიდი მითი“ (ფუტკარაძე, 2022:

22). პერიფრაზებით დახასიათებულია ზოგადად ადამიანი, ქართველი პოეტები, პოეტი თუ პოეზია, ქართული სიტყვა, დედამიწა, სატრფო, ღამე, ვენახი და ა.შ. განსაკუთრებით ბევრი პერიფრაზით ქართული სიტყვაა დახასიათებული: იგი მტრის ხელში ბევრჯერ მიმოფანტული, სულხან-საბას კონაში კრძალვით გადანახულია, სულში სისხლად ნაწვეთი წინაპრების წარსულია, ჩვენი ქვეყნის ჯებირგადალახული ტკივილია, რომელიც ახლა სინდისჩამოხეული და ჩოხაჩამოკონკილია (ფუტკარაძე, 2013: 49).

შესასწავლია ამ პერიფრაზების ბუნება, რა უდევს საფუძვლად ცალკეული საგნის, მოვლენის ან პერსონის ამგვარ მხატვრულ ხედვას.

ნიკა ფუტკარაძის პოეზიის საინტერესო თავისებურებაა სხვადასხვა დარგის ლექსიკა-ტემინოლოგიის მეტაფორიზაცია. ესენია **სხეულის ნაწილების, ანატომიური დეტალების სახელები** (ხერხემალი, ნეკნები, ლავიწის ძვალი) და **მათემატიკური ოპერაციების, სამედიცინო ტერმინების, დაავადებათა თუ სამკურნალო საშუალებათა, ხელსაწყოების, მანიპულაციების** დასახელებები (პულსი, წამალი, აბი, საძილე აბი, წვეთოვანი, ანტიბიოტიკი, ზონდი, რენტგენი, კარდიოგრამა, ნარკოზი), **გასტრონომიული ლექსიკა** (მჭადი, კარაქი, კამფეტი, ფინიკი) და ა.შ. გვხვდება რამდენიმე დარგის ლექსიკა-ტერმინოლოგიის პოეტიზაცია ერთ სტროფშიც კი. პოეტის ენის ამ თავისებურებაზე ყურადღება გაამახვილა მკვლევარმა ი. ვაშაკიძემ (ვაშაკიძე, 2022: 104), თუმცა დეტალურად შესწავლილი არაა. მისი კვლევა გამოავლენს, ,,შემოქმედი რამდენად ადეკვატურ ფორმას უძებნის ინდივიდუალურ მსოფლხედვას გამოსახატავად. უნდა განისაზღვროს, რა და რატომ აქვს გამოყენებული მწერალს, რამდენად აღწევს თავის მიზანს, რას სძენს იგი ამით ხატოვან აზროვნებას“ (ჯორბენაძე, 1983: 33). საინტერესო იქნება იმის გაანალიზება, რატომ და რისთვის გამოიყენება ამგვარი ნიმუშები პოეტურ ტექსტებში.

II.2. ენობრივი თამაშები: ალიტერაციები, ასონანსები, კალამბურები და გამეორებები ლექსებს მუსიკალურობას მატებს და ისინი პოეტის იდეებსაც გამოკვეთს.

ხშირია ალიტერაცია: „შენამდე შარები შორია, შიში შლის შრიალა შროშანებს“, „თოვლით თეთრი, თოვლზე თეთრი და თეთრზე თეთრი;“ „დრომ არ გადროვა, ჟამმა იჟამა“ (ფუტკარაძე, 2022: 21); „ცვარი ციური, ციანიდად შემოგაქცია“ (ფუტკარაძე, 2022: 47), ,,ცა მზიური ამზეურებს სამზიუროს“(ფუტკარაძე, 2011: 34). ამ მაგალითებში ერთნაირი ბგერების გამეორება ქმნის რიტმულობას, ემოციურობასა და ექსპრესიულობას.

გვხვდება **სიტყვათა თამაშიც: მედეა...მედია, სეტყვა...სიტყვა** (ფუტკარაძე, 2022:48), **აყვავებულია...გაყვავებულია** (ფუტკარაძე, 2015: 5).

ზმნისწინის დერივაციულ შესაძლებლობებზე აგებული ეს უკანასკნელი კალამბური ირონიულ მნიშვნელობას ატარებს.

გამეორება– ეს სტილისტიკური ხერხი მკითხველზე ემოციურად ზემოქმედებს და ხაზგასმით წარმოაჩენს ტექსტის სათქმელს: „გჯეროდეს... გჯეროდეს... გჯეროდეს... გჯეროდეს... უსაზღვროდ რომ მიყვარხარ“ (ფუტკარაძე, 2022: 50).

საინტერესოა **ალუზიები**. პაოლო იაშვილის ლექს „სენტიმენტალური ტრიოლეტის“ ალუზია გვაქვს შემდეგ სტროფში:

,,გაურბის წვიმას ქუჩაში ხალხი,
ვით სეტყვის საფანტს სველი **ბელურა,**
სანამ ქვაფენილს მტვრის კაბას გახდის,
ქალაქს ლექსებად **ესაფეხურა“** (ფუტკარაძე, 2015: 12)

ტიციან ტაბიძის „ლექსი მეწყერისა“:

„ლექსი, პოეზია, თითო სიტყვა,
უფლის მირონის ჩანჩქერია,
ნიაღვარივით გაგიტაცებს,

ხელში აყვანილი ტაეპიდან“ (ფუტკარაძე, 2013: 11).

აქ ზურაბ გორგილაძის ,,ჰოიდა ნანას“ალუზიაა:

,,დიდ გორაზე დავალ განა, და ვუმღერებ იავნანას,

ჩემო მტკიცე აჭარლობავ, ჩემი ლექსი გენაცვალა!“ (ფუტკარაძე, 2011: 31).

გამოსაკვლევია ნიკა ფუტკარაძის პოეტური სამყაროს მიმართება (ინტერტექსტი) სხვა ქართველი პოეტების შემოქმედებასთან.

II.3. მუსიკალურობა: რიტმი და რითმა

პოეტურ ტექსტს პროზაულისგან განსხვავებით, აქვს ,,განსაკუთრებული შინაგანი ორგანიზაცია, რიტმი, მეტრი, რითმა, ალიტერაცია, პარალელიზმი, რაც უნიკალურობას ანიჭებს მას და ასრულებს ესთეტიკურსა და კომუნიკაციურ ფუნქციებს“ (Лотман, 1996). ამ მხრივ ნიკა ფუტკარაძის პოეზია განსაკუთრებულია. მის ლექსებში მრავლადაა რითმა და მკაფიო რიტმი. კრებულში ,,ჩირუხის ყვავილები“ გვხვდება თეთრი ლექსიც (,,სამი დრო“). მკვლევარი იამზე ვაშაკიძე მოცემულ საკითხთან დაკავშირებით წერს: ,,ნიკა ფუტკარაძის ლექსები გამოირჩევა მუსიკალური ტაქტებისათვის დამახასიათებელი სიმწყობრითა და რიტმულობით, რასაც ქართული ლექსის რითმათა ნაირგვარი არჩევანი განაპირობებს. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ძალდაუტანებლად, კალმის ერთი მოსმით ნაწილდება სალექსო სტრიქონებში ჯვარედინ, რკალურ, მოსაზღვრე თუ სხვა ტიპის რითმებად ქცეული მარცვლები, სიტყვები, ფრაზები“ (ვაშაკიძე, 2022: 105-106).

პოეტი ხშირად იყენებს მაჯამას: „კარეტა... კარე და...“ (ფუტკარაძე, 2022: 20); „სულ ელი ... სულელი“ (ფუტკარაძე, 2022: 8).

II.4. სტილური და ენობრივი თავისებურებები:

ნიკა ფუტკარაძის პოეზია გამორჩეულია სტილთა მრავალფეროვნებით, ეკლექტიზ-მითა და ლექსიკური მრავალფეროვნებით. ეს საკითხიც, როგორც თანამედროვე ეპოქის გამოწვევა, საგანგებოდაა შესასწავლი.

მკითხველის ყურადღებას იპყრობს პოეტის მდიდარი სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობები. გვხვდება **კომპოზიტებისგან ნაწარმოები ქონების სახელები** (ნუკრთვალა, ავგულა (ფუტკარაძე, 2013: 13) და **ოკაზიური ფორმები** (უქართველობა; გადმოქართული (ფუტკარაძე, 2013:49), ცაგამცრალი (იქვე, 57), მზეთაუმზეობა (2011: 93).

მრავლადაა **ნასახელარი ზმნა**: შემომეზღაპრა (ფუტკარაძე, 2011:6), მზისობს, მთვარისობს (ფუტკარაძე, 2011: 72); ამოაზღაპრეს (ფუტკარაძე, 2011: 96); გაზღაპრდები, გამითდები (ფუტკარაძე, 2022: 19), ვაყვავილებ, ვფსკერდები (ფუტკარაძე, 2022: 12), გატაიფუნებს (ფუტკარაძე, 2022:13), გავწვიმდე (ფუტკარაძე, 2015: 7), მეალმასები (ფუტკარაძე, 2013: 55); მოქარქალებს (ფუტკარაძე, 2013: 58), ვსაუკუნდები (ფუტკარაძე, 2013: 23); ამითავთავდა (ფუტკარაძე, 2015: 29), ვადვილობ (ფუტკარაძე, 2015: 32), დავღამდე, გავწვიმდე (ფუტკარაძე, 2015: 7); გადადილავდა (ფუტკარაძე, 2015: 93) ჩამოღამმშვიდდა (ფუტკარაძე, 2015: 20), ქარფეხობენ (ფუტკარაძე, 2015: 78).

III. ემოციური ინტენსიურობა და ექსპრესიულობა:

ნიკა ფუტკარაძის ლექსებისთვის დამახასიათებელია მრავალფეროვან განწყობათა დინამიკა, პირადული განცდების უნივერსალურ ჭრილში გადატანა, რეალისტური და მისტიკური ელემენტების შერწყმით მძლავრი ესთეტიკური ეფექტის მიღწევა, მკითხველში მაღალი ემოციური რეზონანსისა და ექსპრესიულობის გამოწვევა. პოეტი მკითხველს ინტელექტუალური გამოწვევის წინაშე აყენებს: ,,სიტყვა იქცევა ადამიანად, მაგრამ ადამიანი იქცევა სიტყვად?!“ (ფუტკარაძე, 2022: 34).

პოეტი განიცდის და მკითხველსაც მძაფრად განაცდევინებს „უღმერთო დროის“ სატკივარს: ,,სუროს სამოსში გახვეულა მიტოვებული სახლის კედლები, რომელიც

დანგრეულ სოფელს ეპიტაფიად შერჩენია“ (ფუტკარაძე, 2022: 78), ,,კერა ჩამქრალა, ადრე რომ ხურდა, მიწის გამყიდველს უბრუნებს ხურდას!“(ფუტკარაძე, 2022: 46).

პოეტი მტკივნეულად განიცდის უცხოტომელთა გაბატონებასა და ღირებულებათა გადაფასებას: „გზა გაეხსნა მიწაზე ყველა ჯურის ავთვალს და არწივების ბუდეში ტორებს დაჰკრავს ავაზა, ვარდზე ბულბულის ნაცვლად, ყვავი იწყებს ყრანტალს“ (ფუტკარაძე, 2022: 87).

განსაკუთრებით შთამბეჭდავადაა გადმოცემული სიყვარულის გრძნობა:

,,სხეულზე მინდვრის სურნელი გეცვა,
თვალებში ციდა გერგო იები,
მაგიტომ შურდა ფერგასულ ზეცას,
გთხოვ, მაგ თვალებით ნუ ატირდები“ (ფუტკარაძე, 2022: 63).

ლირიკული გმირი აღტაცებულია საყვარელი ადამიანის სილამაზით და სინაზით. „მინდვრის სურნელი“ სისუფთავის, სიახლის შეგრძნებას ბადებს. „თვალებში ციდა გერგო იები“– ეს მეტაფორა გამოხატავს სატრფოს თვალებში ჩაბუდებულ სინაზესა და ქარიზმას, რომლის სილამაზის ფერგასულ ზეცასაც შურდა, ამიტომაც შესთხოვს მას, არ ატირდეს, რათა ეს სილამაზე ცრემლებმა არ შელახოს.

IV. **მკითხველზე ზემოქმედების ასპექტები**

განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი მხატვრული ხერხი, **მულტისენსორული პოეტური ხატები,** სინესთეზიური გამოსახულებები, სადაც შერწყმულია სხვადასხვა ტიპის სენსორული აღქმა. ტექსტი ერთგვარ თეატრალურ წარმოდგენას ჰგავს, სადაც ვიზუალური, აკუსტიკური, ტაქტილური თუ სხვა ელემენტები კარნავალიზებულია. ლექსები მკითხველის რამდენიმე შეგრძნებაზე ერთდროულად მოქმედებს და წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. მკვლევარი გ. გოგოლაშვილი მხატვრული ენის ამგვარ ნიშნებს შემოქმედის ენის ,,ჭეშმარიტ ბუნებასთან“ მიახლოების დასტურად მიიჩნევს (გოგოლა-შვილი, 2022: 28).

ნიკა ფუტკარაძის პოეზიაში გვხვდება ვიზუალური თუ აკუსტიკური, ყნოსვითი და ვიზუალური, ტკივილის//ემოციური და ტაქტილური შეგრძნებების შერწყმის ნიმუშები.

ამგვარი ნიმუშებით ყველაზე მდიდარია კრებული ,,დუმილის ქარაგმები.“ სინესთეზიაში ხშირად მონაწილეობს ტაქტილური შეგრძნებები და აბსტრაქტული სახელები (სიყვარულის, მოლოდინის, ხსოვნის, სურნელის ჩაცმა, სიყვარულის, ტკივილის შეხება) და სწორედ ესაა ნიკა ფუტკარაძის პოეტური სტილის განმსაზღვრელი მთავარი თავისებურება, რომელიც მოითხოვს ღრმა და დეტალურ ანალიზს სემიოტიკის თვალსაზრისით, ასევე, შესასწავლია, რით უნდა იყოს გამოწვეული მეტაფორათა სინესთეზია, რა ფუნქციებს ასრულებენ ტექსტში და რომელი ლიტერატურული მიმდინარეობისთვისაა ისინი ნიშანდობლივი.

,,დუმილის ქარაგმებში“ ზოგ ლექსს ნახატიც ახლავს, განთავსებულია QR კოდებიც, რომელთა მეშვეობითაც მკითხველი Yuotube-ზე შეძლებს ლექსებზე შექმნილ მუსიკალურ კომპოზიციათა, ქორეოგრაფიულ ნომერთა, ვიდეოკლიპთა და ვიდეოარტთა ნახვასაც. პოეზიისა და ხელოვნების დარგთა სინთეზი ინოვაციაა, რომელიც პოეტური აზროვნების ფართო დიაპაზონზე მიუთითებს. განსხვავებული ბუნების გამო ამგვარი პოეტური მახასიათებლები არა მხოლოდ ლინგვისტურად, არამედ პანსემიოტიკურადაც მიიჩნევა (Jakobson, 1960: 2). პოეტის ენის ამ თავისებურების შესახებ ხაზგასმითაა აღნიშნული კრებულის წინასიტყვაობაში (ბ. ქებურია, რ. აბუსელიძე).

მკვლევარი შ. მახაჭაძე ემყარება პოსტმოდერნიზმის თეორეტიკოსთა: ლინდა ხატჩეონის (2002), იჰაბ ჰასანის (2003) და ალან კირბის (2006) მოსაზრებებს XXI საუკუნის დასაწყისში პოსტმოდერნისტული მიმდინარეობის დიგიმოდერნიზმით შეცვლის შესახებ და გამოყოფს მეტამოდერნიზმისგან მის განმასხვავებელ რამდენიმე ნიშანს. ერთ-ერთია

დიგიტალიზაციის გავლენა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურის ყველა სფეროზე, თვით ტექსტზეც კი (მახაჭაძე, 2020: 127-133). დიგიმოდერნისტული ტექსტები ერთი კონკრეტული მიმართულებით არ ვითარდება. მუდმივი განვითარებადობის, შევსებადობის, სტიქიურობის გამო მათ აქვთ დასაწყისი, მაგრამ არ აქვთ დასასრული (Kirby, 2009).

მეცნიერის შეფასებით, ნიკა ფუტკარაძის ლექსების კრებული „დუმილის ქარაგმები" დიგიმოდერნისტული მიმდინარეობის ერთ-ერთი პირველი მერცხალია... რადგან ,,პოეზიის, მუსიკის, ფერწერის, ქორეოგრაფიის, კინოხელოვნების ორგანული სინთეზი წარმოუდგენელია თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე" (მახაჭაძე, 2024).

რ. იაკობსონის (Jakobson,1987:71) კრიტერიუმების მიხედვით, პოეტური ენა ტექსტში ასრულებს სხვადასხვა ფუნქციას. ნიკა ფუტკარაძის შემოქმედებაში გამოკვეთილია ენის პოეტური, ემოციური და რეფერენციული ფუნქციები, ის ასრულებს კონატიურ ფუნქციასაც.

ზოგჯერ რამდენიმე ფუნქცია ერთდროულად რეალიზდება: **პოეტური, ემოციური და კონატიური ფუნქცია** – გულანთებული პოეტი მიმართავს ყველა სალოცავს:

,,არ დაინგრე ტაძარო, არ გამიხმე ვენახო,
ჩვენი ტანჯული ქვეყნის ღვინისფერო ჩოხავ,
ღმერთმა ისე გახაროს, ყველას თასში მენახო,
ყველას გულში მენახო, გლეხი კაცის ოხვრავ"... (ფუტკარაძე, 2022: 86).

ნიკა ფუტკარაძის პოეზია იძლევა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას. მასობრივი კომუნიკაციის თეორია მხატვრულ ნაწარმოებს კომუნიკაციის ერთ-ერთ სახედ მიიჩნევს (Левый, 1975: 279-280). მოცემულ შემთხვევაში გამოსაკვლევია, როგორ აღიქვამს ობიექტურ რეალობას პოეტი, რა სუბიექტურ გამოცდილებას ფლობს ის, რა მხატვრული და ენობრივი საშუალებებით, როგორ იქმნება ტექსტი და როგორია მკითხველის შესაძლო ინტერპრეტაცია.

დასკვნა. მაშასადამე, პოეტ ნიკა (ნიკოლოზ) ფუტკარაძის მრავალშრიანი პოეტური დისკურსი გამორჩეულია თემატური მრავალფეროვნებით, მაღალმხატვრულობითა და მეტაფორულობით. ბუნების პერსონიფიკაციითა და გაიდეალებით იგი ქართველ რომანტიკოს და სიმბოლისტ პოეტთა ტრადიციის გამგრძელებელია. მისი პოეზია ფორმირდება როგორც ტრადიციით, ასევე ინოვაციით, ამიტომაც ინტერტექსტუალურობა და ნოვატორული ტენდენციები საგანგებოდაა შესასწავლი.

აღნიშნული პოეზია ხელოვნების სხვა დარგებთან უნიკალური სინთეზით ხელს შეუწყობს მხატვრული აზროვნების გამდიდრებას და თანამედროვე ქართული პოეზიის მოდერნიზაციას.

პოეტური ხატების მულტისენსორულობა, მეტაფორათა სინესთეზიურობა სამყაროს მრავალი ასპექტით განცდაზე მეტყველებს და მეტად საინტერესო ფენომენია.

ახალგაზრდა, ნიჭიერი პოეტისთვის ენა ძლიერი ინსტრუმენტია, რომლითაც გამოხატავს ღრმა ემოციებსა და ფილოსოფიურ აზრებს. აღსანიშნავია სტილური და ლექსიკური მრავალფეროვნება, ოკაზიურ ფორმათა სიმრავლეც.

ნიკა ფუტკარაძის მხატვრულ შემოქმედებაში ყველაზე მკაფიოდ ენის პოეტური, ემოციური და რეფერენციული ფუნქციები ვლინდება, მნიშვნელოვანია კონატიური ფუნქციაც. ის როგორც ესთეტიკურ, ისე ინტელექტუალურ, ემოციურ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე და ამ პოეზიის აღქმისა თუ შეგრძნებისათვის სამივე ასპექტში მზაობას მისგანაც მოითხოვს.

ნიკა ფუტკარაძის პოეზიის შესწავლა მრავალმხრივ პერსპექტიულია. მისი შინაარსობრივი მხარე შესასწავლია ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის კუთხითაც,

მხატვრული ხერხები ლიტერატურათმცოდნეობის, პოეტიკისა და სტილისტიკის განხრით, სიმბოლოთა სისტემა – კულტუროლოგიურად, მულტისენსორული პოეტური ხატები და სინესთეზიური მეტაფორები გამოსაკვლევია ლინგვოსემიოტიკის, ასევე რომელიმე ლიტერატურული მიმდინარეობისთვის პოეტის მიკუთვნების თვალსაზ-რისით. პოეზიასთან ერთად მუსიკის, მხატვრობის, ქორეოგრაფიისა და ვიდეოარტის გამოყენება ციფრული ეპოქის გამოძახილია და ერთდროულად რამდენიმე დარგისთვისაა საინტერესო.

გამოყენებული ლიტერატურა

არისტოტელე. (1979). *პოეტიკა.* ს. დანელიას თარგმანი. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.

გოგოლაშვილი, გ. (2022). *რა ფერისაა სიტყვა?* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

ვაშაკიძე, ი. (2022). *დუმილის ქარაგმები* (ნიკა ფუტკარაძის ლექსების ახალი კრებული). *ჭოროხი.* №3.

მახაჭაძე, შ. (2024). *დიგიმოდერნისტული კრებული/ ნიკა ფუტკარაძის „დუმილის ქარაგმები“. ქუთაისის IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა,“ 22-23 მარტი, 2024 წელი. მასალები.* ქუთაისი: ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი გვ.167-171. *მოძიებულია ვებგვერდიდან:* https://journals.4science.ge/index.php/enadakultura/article/view/2623/2598 *(მოძიებულია 16.04. 2025).*

მახაჭაძე, შ. (2020). *პოსტმოდერნისტული თუ მეტამოდერნისტული პოეზია?* (როინ აბუსელიძის კრებულის –„მიწის პოეტის მსხვერპლის“ *მიხედვით.* საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის შრომები № VI. გვ. 127-133.

ფუტკარაძე, ნ. (2011). *წვეთავს ნატვრებიდან პოეზია.* თბილისი: საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“.

ფუტკარაძე, ნ. (2022). *დუმილის ქარაგმები.* თბილისი: გამომცემლობა „ივერიონი“.

ფუტკარაძე, ნ. (2015). *წვიმის სტუმრები.* თბილისი: გამომცემლობა „ივერიონი“.

ფუტკარაძე, ნ. (2013). *ჩირუხის ყვავილები.* II შევსებული და შესწორებული გამოცემა. თბილისი: გამომცემლობა „ივერიონი“.

ჯორბენაძე,ბ.(1983).მხატვრული ტექსტის ენობრივი ანალიზის ზოგიერთი საკითხისთვის. *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები.* წიგნი V. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება.“

Jakobson, R. (1960). Linguistics and Poetics. In T. Sebeok (Ed.), *Style in Language* (pp. 350-377). MIT Press. Retrieved from https://www.academia.edu/42324630/Jakobson_1960_Linguistics_poetics (Searched 16.04. 2025)

Jakobson, R. (1987). *Language in Literature, Linguistics and Poetics,* edited by Krystyna Pomorska and Stephen Rudy. The Belknap Press of Harvard University Press, Cambridge, Massachusetts, London, England. Retrieved from https://www.sas.upenn.edu/cavitch/pdf-library/Jakobson_Linguistics_and_Poetics.pdf (Searched 16.04. 2025)

Kirby, A. (2009). *Digimodernism: How New Technologies Dismantle the Postmodern and Reconfigure Our Culture.* New York, London.

Левый, И. (1975). Теория информации и литературный процесс. В *Структурализм "за" и "против".* Москва.

Лотман, Ю. (1996). Анализ поэтического текста. В *О поэтах и поэзии.* Санкт-Петербург. Получено из https://philologos.narod.ru/lotman/apt/3.htm#8 (Найдено 16.04. 2025).

REFERENCES

arist'ot'ele. (1979). *p'oet'ik'a [Poetics]*. Translated by S. Danelia. Tbilisi: Publishing House „Ganatleba“.

gogolashvili, g. (2022). *ra perisaa sit'qva? [What Color is the Word?]* Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Institute of Linguistics.

vashak'idze, i. (2022). dumilis karagmebi (nik'a put'k'aradzis leksebis akhali k'rebuli) [Enigmas of Silence" of Silence" New Collection of Poems by Nika Phutkaradze]. *ch'orokhi [Chorokhi]*. №3.

makhach'adze, sh. (2024). digimodernist'uli k'rebuli/nik'a put'k'aradzis „dumilis karagmebi“ [Digimodernist Collection/Nika Putkaradze's "Echoes of Stillness"]. *kutaisis IX saertashoriso sametsniero k'onperentsia „ena da k'ult'ura,“ 22-23 mart'i, 2024 ts'eli. masalebi [Kutaisi IX International (Distance) Scientific Conference "Language and Culture", March 22-23, 2024. Proceedings]*. Kutaisi: Foundation for the Development of Humanitarian and Pedagogical Sciences. pp. 167-171. Retrieved from https://journals.4science.ge/index.php/enadakultura/article/view/2623/2598 (Searched 16.04. 2025)

makhach'adze, sh. (2020). *p'ost'modernist'uli tu met'amodernist'uli p'oezia?* (roin abuselidzis k'rebulis –„mits'is p'oet'is mskhverp'lis“ mikhedvit [Postmodernist or Metamodernist Poetry?/From the Perspective of Roin Abuselidze's Collection – "The Sacrifice of the Poet of the Earth"]. *sakartvelos metsnierebata erovnuli ak'ademia, ach'aris avt'onomiuri resp'ublik'is regionuli sametsniero tsent'ris shromebi № VI [Georgian National Academy of Sciences, Regional Scientific Center of the Autonomous Republic of Adjara, Proceedings VI]*. pp. 127-133.

put'k'aradze, n. (2011). *ts'vetavs nat'vrebidan p'oezia [Poetry is dripping from desires]*. Tbilisi: Publishing House „Inovatsia“.

put'k'aradze, n. (2022). *dumilis karagmebi [Enigmas of Silence]*. Tbilisi: Publishing House „Iverioni“.

put'k'aradze, n. (2015). *ts'vimis st'umrebi [Guests of the Rain]*. Tbilisi: Publishing House „Iverioni“.

put'k'aradze, n. (2013). *chirukhis qvavilebi [Flowers of Chirukh]*. II supplemented and revised edition. Tbilisi: Publishing House „Iverioni“.

jorbenadze, b. (1992). *p'oeziis ena* [The Language of Poetry]. *matsne, enisa da lit'erat'uris seria №4 [Matsne, Language and Literature Series N4]*.

jorbenadze, b. (1983). *mkhat'vruli t'ekst'is enobrivi analizis zogierti sak'itkhitvis* [Some Issues of Linguistic Analysis of Artistic Texts]. *kartuli sit'qvis k'ult'uris sak'itkhebi [Issues of Georgian Word Culture]*. Book V. Tbilisi: Publishing House „Metsniereba.“

Jakobson, R. (1960). Linguistics and Poetics. In T. Sebeok (Ed.), *Style in Language* (pp. 350-377). MIT Press. https://www.academia.edu/42324630/Jakobson_1960_Linguistics_poetics (Searched 16.04. 2025).

Jakobson, R. (1987). *Language in Literature, Linguistics and Poetics,* edited by Krystyna Pomorska and Stephen Rudy. The Belknap Press of Harvard University Press, Cambridge, Massachusetts, London, England. Retrieved from https://www.sas.upenn.edu/cavitch/pdf-library/Jakobson_Linguistics_and_Poetics.pdf (Searched 16.04. 2025).

Kirby, A.(2009). *Digimodernism: How New Technologies Dismantle the Postmodern and Reconfigure Our Culture.* New York, London.

Levyj, I. (1975). *Teorija informacii i literaturnyj process* [Information Theory and the Literary Process]. In *Strukturalizm "za" i "protiv" [Structuralism "for" and "against"]*. Moscow.

Lotman, Ju. (1996). Analiz pojeticheskogo teksta [Analysis of poetic text]. In *O pojetah i pojezii [About poets and poetry]*. Saint Petersburg. Retrieved from https://philologos.narod.ru/lotman/apt/3.htm#8 (Searched 16.04. 2025).